

ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში საქსტატი გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით აცნობებს ამის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში (წერილში) მითითებულია ორგანო, რომელშიც შეიძლება აღნიშნული აქტის გასაჩივრება, ამასთან მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

კერძოდ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.